

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ რეგულაციები მკაცრდება

საქართველოს პარლამენტი პირველი მოსმენით განიხილავს კანონპროექტს, რომელიც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ რეგულაციების გამკაცრებას, მათ შორის შემაკავებელი ორდერის სავალდებულო წესით გამოცემას ითვალისწინებს.

კანონპროექტი, ინიციატორი



საკანონმდებლო ინიციატივა: ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონსა და თანმდევ კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე
ინიციატორი: საქართველოს მთავრობა
ავტორი: იუსტიციის სამინისტრო

კანონპროექტის არსი



- ძალადობრივი ხასიათის დანაშაულების გამოძიების დაწყების ან გამოძიების მიმდინარეობის შემთხვევაში პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ შემაკავებელი ორდერის გამოცემა სავალდებულო ხდება
- ოჯახში ძალადობის და ოჯახური ძალადობის (ძალადობრივი ხასიათის) დანაშაულებისთვის დამატებით სასჯელად განისაზღვრება იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა
- თუ პირის მიმართ დევნა დაწყებულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ბრალდებით, სასამართლო პრიორიტეტულად განიხილავს პირისათვის იარაღის ჩამორთმევის ვალდებულების ან/და გარკვეულ ადგილზე შესვლისა და დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვის დაკისრების საკითხს.

კანონპროექტის განმარტებით ბარათის თანახმად, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთა მიმართვიანობის მაჩვენებელი, რაც ამ დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელზეც არის ასახული.

ინიციატორის მითითებით, კანონპროექტის მიღების საჭიროება განპირობებულია ოჯახში ძალადობის ფაქტებთან/ოჯახურ დანაშაულებთან ბრძოლის კიდევ მეტად დახვეწის აუცილებლობით, განსაკუთრებით კი როცა საქმე ეხება ამგვარი დანაშაულის ჩადენას იარაღის გამოყენებით. ოჯახური დანაშაულისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის უკეთ დაცვის მიზნით, საჭიროა პოლიციელის უფლებამოსილების გაზრდა და იმ კონკრეტული შემთხვევების განსაზღვრა, როდესაც მას შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და მასში იარაღით სარგებლობის უფლების შეზღუდვის მითითების კანონით უზრუნველყოფილი უფლება ექნება.

მოქმედი რეგულაცია



შემოთავაზებული ცვლილება



- შემაკავებელი ორდერის გამოცემა პოლიციელის უფლებამოსილებაა. ეს უფლებამოსილება დისკრეციული ხასიათისაა და შესაბამისად ოპერატიული რეაგირების მიზნით პოლიციელი არ არის ვალდებული გამოსცეს შემაკავებელი ორდერი.
- მოქმედი კანონით, შემაკავებელ ორდერში იარაღით სარგებლობის შეზღუდვის თაობაზე მითითება არ არის სავალდებულო.

- ძალადობრივი ხასიათის დანაშაულების გამოძიების დაწყების ან გამოძიების მიმდინარეობის შემთხვევაში პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად დროებითი ღონისძიების სახით შემაკავებელი ორდერის გამოცემა სავალდებულო იქნება.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შედის ცვლილებები, რომელთა მიხედვით ოჯახში ძალადობის და ოჯახური ძალადობის (ძალადობრივი ხასიათის) დანაშაულებისთვის დამატებით სასჯელად განისაზღვრება იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა.



- კანონპროექტის თანახმად იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა ნიშნავს პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი (მათ შორის, სამსახურებრივ-სამტატო) იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვის, ტარების ან/და გამოყენების უფლების შეზღუდვას ან/და აკრძალვას. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტის თანახმად იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის დამატებით სასჯელად დანიშვნისას არ არის აუცილებელი, იარაღი წარმოადგენდეს დანაშაულის საგანს ან დანაშაულის ჩასადენად იყოს გამიზნული.
- თუ პირის მიმართ დევნა დაწყებულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ბრალდებით, სასამართლო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან სხვა ვალდებულებების დაკისრების მიუხედავად, პრიორიტეტულად განიხილავს პირისათვის იარაღის ჩამორთმევის ვალდებულების ან/და გარკვეულ ადგილზე შესვლისა და დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვის დაკისრების საკითხს.

შეფასება/რეკომენდაცია



“საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო” მიესალმება ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის და მის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის ინიცირებას საქართველოს მთავრობის მხრიდან.

ოჯახური დანაშაულის ფაქტებისა და შემაკავებელი ორდერების შესახებ ჩვენ მიერ გამოთხოვილი სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ოჯახური ძალადობის მსხვერპლი მიმართავს პოლიციას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოება ნელ-ნელა აცნობიერებს, ოჯახში ძალადობა არის არა მხოლოდ პირადი პრობლემა, არამედ ადამიანის უფლების ხელყოფა.



მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო დონეზე მსხვერპლთა უფლებების დაცვის მიზნით, გაიზარდოს სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიმართვიანობას რაოდენობა და მთავრობამ აქტიურად განაგრძოს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე სოციალური კამპანია ქვეყნის მასშტაბით.

¹ საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, 2018 წლის 6 თებერვალი, გვ. 41



ეს ბლოგი მომზადდა შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GCI) საქართველოში“ დაფინანსებული პროექტის „პარლამენტის ანგარიშვალდებულების და მისი საქმიანობის გამჭვირვალობა-საქართველოს“ ფარგლებში. ბლოგში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.